საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-346

24/03/2021

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესი თანდართული რედაქციით.

2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ ბრძანების გაგზავნა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისთვის, საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი